სახელმწიფო შესყიდვების და მეწარმეობის განვითარების სააგენტოების მხარდამჭერი ღონისძიებები კერძო სექტორის განვითარებისთვის

26 ივნისს ქ. ქუთაისში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის "კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში" და საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის მხარდაჭერით, გაიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ერთობლივი საინფორმაციო შეხვედრა, იმერეთის რეგიონში მოქმედ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან.

შეხვედრის მიზანი იყო იმერეთის რეგიონში მოღვაწე ბიზნესსაზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით და შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის პოპულარიზაცია. მეწარმე სუბიექტებთან 2014 წელს გამართული ანალოგიური შეხვედრების შედეგი 2015 წელს გამოვლინდა - თუ შარშან საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტების მხოლოდ 8% მონაწილეობდა ტენდერებში, წელს ეს მაჩვენებელი, დაახლოებით, 19%-მდე გაიზარდა. ქუთაისში გამართული შეხვედრის მიზანს, ასევე წარმოადგენდა მეწარმეთათვის საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული, სამეწარმეო საქმიანობის ხელშემწყობი ინიციატივებისა და სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

შეხვედრაზე განიხილეს სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში". მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსმა ოთარ ანთიამ გააკეთა პრეზენტაცია და დამსწრე საზოგადოებას დეტალური ინფორმაცია მიაწოდა პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე, წარმოადგინა პროგრამის განხორციელების ანგარიში და მოცემული ეტაპისთვის მიღებული შედეგები.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან რაზმაძემ საზოგადოებას გააცნო ინფორმაცია, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საქართველოს მთავრობისა და სააგენტოს ახალი ინიციატივების შესახებ. გაკეთდება პრეზენტაციები სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის, წესებისა და რეგულაციების, ელექტრონული შესყიდვების სისტემისა და პროცედურების შესახებ.